



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

21 აგვისტო 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №163

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით სპეციალური ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 29 ნოემბრის №122 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 29 ნოემბრის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით სპეციალური ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ №122 ბრძანებაში და ბრძანების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის, შესასრულებელი ან შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლის, ზედამხედველობის განხორციელების და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების ანგარიშსწორების პროცესის რეგულირების საკითხებში, მიმწოდებელთან თანამშრომლობის მიზნით შეიქმნას სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი:

მიხეილ გოგოტიშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

ინსპექტირების ჯგუფის წევრები:

შალვა გაბრიჩიძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

მერაბი წივწივაძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

კონსტანტინე სარიშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

თემური მურვანიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ოთარი გეგიაძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ზურაბ ვაშალომიძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

თემური გიორგაძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი;

სევერიან საჯაია – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

კახა გაგუა – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი“-ს დირექტორი ;

იმ ტერიტორიული ორგანოს – რწმუნებული, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები;“

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთისიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი